ჩვენ სიყვარულმა დაგვაძმოგილა

გუშინ თბილისში საზეიმო ვითარებაში დაიწყო მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 117 (13809)

შაბათი, 20 მაისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

სურათზე: წინა პლანზე (მარჯვნიდან) ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, ნ. გ. ეგორიჩევი, გ. დ. ჯავახიშვილი თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გულთბილი შეხვედრა

19 მაისს მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი.

თბილისის აეროპორტში სტუმრის შესახვედრად მოვიდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სამრეწველო საწარმოთა მშრომელები, სტუდენტები, მოსწავლეები.

ამხ. ნ. გ. ეგორიჩევს გულითადად მიესალმნენ ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნძე, შ. ი. ჰანუშვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი, აგრეთვე მოსკოვის დელეგაციის წარმომადგენლები — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. პ. შაპოშნიკოვა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ტ. სიზოვი, სკკპ კრასნაია პრესნიას რაიკომის პირველი მდივანი ვ. ვ. ფიოდოროვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე მ. ა. სოლოვიოვა.

ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა სტუმარს ყვავილთა თაიგულები მიართვეს. (საკდესი).

საუკუნოვანი მეგობრობა

თბილისში გაიხსნა მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები

კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის მატიანეში. დიდი სიხარულით, გულღიად ხვდება თბილისი მშრომელი ქალაქის, გმირი ქალაქის, მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენთან ჩამოვიდნენ მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებზე. უძველეს ქართულ მიწა-წყალზე შვიდი დღის განმავლობაში იქცევრებს რუსული ლექსები და სიმღერები, როგორც სიმბოლო რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი დიადი საშობლოს ყველა ხალხის ურღვევი ერთობისა.

ჩვენი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ძალაა ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რუსული და ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა ახლანდელი შეხვედრა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ამ გზაზე.

ორი მოძმე ხალხის ეროვნული კულტურების ურთიერთობის ისტორიას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. რუსი ხალხის დიდი შვილები — ვერეტენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვების იდეები აიტაცეს და ქართველი ხალხის საუკუნეებში ჩააყენეს საქართველოს სახელოვანმა შვილებმა — ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა. დიდი რუსული ლიტერატურის კეთილნაყოფიერი ზეგავლენით შეიქმნა ქართველი პოეტებისა და მწერლების არა ერთი და ორი ნაწარმოები, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ზეგავლენით ბევრი მკაფიო სტრიქონი ჩაწერეს რუსულ ლიტერატურაში მისმა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გრიბოედოვი საუკუნოდ მიიბარა ქართულმა მიწამ. არასდროს არ წაიწლება მისი საფლავისაკენ მიმავალი ბილიკი მთაწმინდაზე.

ჩვენს დღეებში კიდევ უფრო მძლავრი და ურყევი გახდა ჩვენი ხალხების მეგობრობა.

საქართველოში უყვართ რუსული სიტყვა, სიმღერები და ლექსები. ამიტომ გახდა მოსკოვის დღეები ასეთი დიდი, მკაფიო მოვლენა რესპუბლიკის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც გამოხატავს დიდი რუსი ხალხისადმი გულწრფელი სიმპათიისა და მადლიერების გრძნობას, ხალხისადმი, რომელსაც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად უდიდესი წვლილი შეაქვს მშობლიური ქვეყნის შემდგომ აყვავებაში.

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები თბილისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გუშინ, 19 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. აქ შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმში არიან ძვირფასი სტუმრები — პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. პ. შაპოშნიკოვა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ს. ა. ფალიაშვილი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ტ. სიზოვი, სკკპ ქალაქ მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიკომის პირველი მდივანი ვ. ვ. ფიოდოროვი და დელეგაციის სხვა წევრები. ადგილებს იკავებენ — ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუბლინი, რ. ი. ფრუნძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჰანუშვაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუბასა, ა. ნ. ინაური, შ. დ. ბიძნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ი. ჩერძეზია.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ვ. პ. მჟავანაძემ თქვა:

— ქართველებს გვაქვს სიტყვა, რომლითაც ვხვდებით ყველაზე ძვირფას სტუმრებს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

და აი დღეს მზურს ვუთხრა ჩვენს ძვირფას მოსკოველებს: — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, ქართველი ხალხის, ყველა ჩვენი შრომელის სახელით მზურავლედ, მთელი სულითა და გულით, ძმურად მოგესალმოთ საქართველოს დედაქალაქ თბილისში გმირი ქალაქის მოსკოვის — ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სახელოვანი დედაქალაქის წარმომადგენლებს.

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული. წლითიწლობით სულ უფრო მტაცდება მოსკოვისა და თბილისის ძმური კავშირი.

ჩვენი ხალხების, ისევე, როგორც ჩვენი თვალწვდენი სამშობლოს ყველა ხალხების, მეგობრობა და ძმობა იშვა ერთობლივ ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ეს მეგობრობა, ეს ძმობა მტაცდებოდა ოქტომბრის რევოლუციური ბრძოლების დღეებში.

ამ მეგობრობამ, ამ ძმობამ მკაცრი განსაცდელი გამოიარა დიდი სამამულო ომის წლებში და ღირსეულად გაუძლო დროის გამოცდას.

ეს ლენინური მეგობრობა, ეს ძმობა ჩვენი დიადი საშობლოს ყველა ხალხს ახალ ძალებს მატებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიდმა ლენინმა გვიანდერძა ვამტკიცებდეთ და ვამრავლებდეთ მეგობრობას საბჭოთა ხალხებს შორის, როგორც ოქტომბრის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მონაპოვარს და საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თვალსაჩინოვით უფრთხილდებიან ხალხთა ლენინურ მეგობრობასა და ძმობას.

საქართველოს მშრომელებს კარგად ესმით, რომ ყველა წარმატება, რომელსაც ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკის განხორციელების, იმ მუდმივი ურთიერთდახმარების შედეგია, რომელსაც ერთმანეთს უწევენ საბჭოთა ხალხები, და უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარების შედეგია.

ჩვენი ხალხების მეგობრობის მატიანეშ შემოგვინახა ბევრი შთამბეჭდავი ფურცელი, რომლებიც გაცისკროვნებულია ალექსანდრე პუშკინისა და ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე გრიბოედოვისა და აკაკი წერეთლის, მიხეილ ლერმონტოვისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, მაქსიმ გორკისა და მიხეილ ჯავახიშვილის, ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელებით.

ხალხმა შემოინახა ბევრი გულთბილი, გულითადი სიტყვა ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის შესახებ.

ამ სიტყვებს შორის მახსენდება აკაკი წერეთლის სიტყვები, რომელმაც თქვა:

„ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსეთის ხალხთან ძმობას, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებით სიარული, არამარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

აი, რა თქვა მაქსიმ გორკიმ:

„არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში (თბილისში) გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელსაც აი უკვე ოთხი ათეული წელია ვადგავარ“.

მიმართა რა ქართველ პოეტებს, სერგეი ესენინმა თავის თავზე თქვა:

„მე ჩრდილოელი თქვენი მეგობარი და ძმა ვარო...“

რუსი და ქართველი ხალხების ურღვევ მეგობრობას ნათლად გამოხატავს ჩვენი კულტურების ძმობა.

ამ მეგობრობის, ამ ძმობის ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტები იყო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დღეადა მოსკოვში, შემდეგ კი რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში.

და ჯერ კიდევ არ მინელებულა საქართველოში ლექსები, რომლებიც ლენინისა და პუშკინის ენაზე ჟღერდა, რომ დღეს უკვე თბილისში იხსნება „მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები“ — დიდი და მკაფიო მოვლენა არა მარტო საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

აი რატომ უხარიათ საქართველოს მშრომელებს მოსკოვის შესანიშნავი შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოსვლა, აი რატომ უხარიათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის თეატრალური და სახვითი ხელოვნების, ლიტერატურისა და კინოს თვალსაჩინო მოღვაწეთა სტუმრობა.

როგორც კი დამთავრდება „მოსკოვის დღეები“ თბილისში, მოსკოვში დაიწყება „საქართველოს დღეები“.

ჩვენი გული კვლავ სიხარულით ივსება იმის გამო, რომ მოგველის შეხვედრა მოსკოვთან და მოსკოველებთან, რომელთა გულითადობა, გულთბილობა, სითბო ქართველმა ხალხმა ახალი ძალით იგრძნო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაულის დღეებში, როცა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ძეგლი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, ხოლო მეგობრული გრძნობებითა და ძმური სიყვარულით აღსავსე სიტყვები წარმოთქვა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ეგორიჩევმა.

თქვენ, ნიკოლოზ გრიგოლის ძევ, თქვით, რომ შოთა რუსთაველს ძეგლის დადგმა მოსკოვში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას, და დედაქალაქის მშრომელთა სახელით გვთხოვეთ ქართველი ხალხისათვის გადმოგვეცა ახალ გამარჯვებათა ხუროვილები კომუნიზმის მშენებლობაში.

გმადლობთ ნიკოლოზ გრიგოლის ძევ, ამ გულთბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის.

ჩვენი მხრივ გთხოვთ ჩვენს ძვირფას მოსკოველებს თბილისელ მშრომელთა სახელით, მთელი ქართველი ხალხის სახელით გადასცეთ გულითადი ძმური სალამი და საუკეთესო მეგობრული სურვილები შემდგომი წარმატებებისა ჩვენი სახელოვანი მოსკოვის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

დღეს, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ მთელი საბჭოთა ხალხის თვალი და აზრი, როგორც ყოველთვის, მიპყრობილია მოსკოვზე, რომელიც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ცენტრი გახდა.

ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ ოქტომბრის ბრძოლების დღეებში, იმათ შორის, ვინც თავდადებით იბრძოდა რევოლუციის გამარჯვებისათვის, მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, იყვნენ ქართველებიც — ჩვენი ხალხის ერთგული შვილები.

ვამაყობთ იმით, რომ დიდი სამამულო ომის დღეებში, მოსკოვის მისადგომებთან, სახელოვანი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხების შვილების მხარდამხარ, მამაცურად იბრძოდნენ ქართველი მეომრები.

მოსკოვი ძვირფასია ქართველი ხალხისათვის, ისევე როგორც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხისათვის, რომლებისთვისაც მოსკოვი ახალი ბრწყინვალე გამარჯვებების დროშაა კომუნიზმის მშენებლობაში, რომლისკენაც გზას გვინათებს კრემლის ვარსკვლავთ ჩაუქრობელი შუქი.

დაე „მოსკოვის დღეებმა“, რომლებიც თბილისში დღეს იწყება, კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი მეგობრობა ლა ჩვენი ძმობა, რაც ახალ წარმატებათა საწინდარია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXIII ყრილობის მიერ გახსაზღვრული დიდებული ამოცანების შესრულებაში. დაე ამ დღეებმა კიდევ უფრო შეუწყონ ხელი ჩვენი კულტურების ურთიერთგამდიდრებას.

თბილისი, მთელი საქართველო ხვდება ძვირფას მოსკოველებს, როგორც დვიძლ ძმებს, — ღია გულითა და გულწრფელი სალმით.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მივესალმო ჩვენს ძვირფას მოსკოველ სტუმრებს და გისურვოთ ყველა თქვენგანს ახალი წარმატებანი შრომაში და ბედნიერებაში, დიდი ბედნიერება.

დარბაზში ქუხს ტაში, რომელიც დიდხანს არ ცხრება.

უპირველეს გულთბილად მიესალმნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ნ. გ. ეგორიჩევს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა.

— მოსკოველები, — თქვა მან, — მუდამ სიხარულით ხვდებიან მოძმე ხალხების წარმომადგენლებს. ეს შეხვედრა კი შრომისმოყვარე და ნიჭიერ ქართველ ხალხთან განსაკუთრებულია. ეს შეხვედრა ხომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საყოველთაო სახალხო მზადების დღეებში ხდება.

დიდია ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი ხალხის მიერ განვლილი გზა: ზამთრის სასახლის შტურმიდან კოსმოსის შტურმამდე, ქვეყნიდან, რომელიც „ხალხთა საპყრობილე“ იყო, ყველა ეროვნების მეგობრობისა და ძმობის ქვეყნამდე, სახელმწიფოამდე, სადაც საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, ფართო ფრონტით შენდება კომუნიზმი, სადაც განუხრელად მოქმედებს კანონი: „ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყველაფერი ადამიანისათვის“.

ჩვენში არ არის ახლა რესპუბლიკა, ოლქი, მხარე, რაიონი, ჩვენი ქვეყნის ისეთი კუთხე, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე არ მომხდარიყოს განსაცვიფრებელი ცვლილებანი, სადაც საბჭოთა ადამიანებს არ მოეპოვებინოთ დიდი გამარჯვებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ეს გამარჯვებანი აღფრთოვანებენ და ოცებენ მთელ მსოფლიოს.

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად სრულიად შეიცვალა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვიც, გმირი ქალაქი, მშრომელი ქალაქი. ახლა ეს არის უდიდესი სამრეწველო, კულტურული, სამეცნიერო ცენტრი, რომელშიც 6,5 მილიონი მცხოვრებია. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მოსკოვში თითქმის ხელახლა შეიქმნა საავტომობილო, ჩარხსაშენებელი, ხელსაწყოსაშენებელი, რადიო —

(დასასრული მე-2 გვ.)



სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდი (დირიჟორი კ. კონდრაშინი) ასრულებენ გ. სვირიდოვის პათეტიკურ ორატორიას მაიაკოვსკის სიტყვებზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეცნიერთა ფორუმი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

16-18 მაისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრების მუშაობის პირველი ორი დღე მიეძღვნა აკადემიის პრეზიდენტისა და ხელმძღვანელი ორგანოს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის არჩევას. წესდების თანახმად, ასეთი არჩევნები ეწყობა ოთხ წელიწადში ერთხელ.

ფარული კენჭისყრით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი მსტისლავ ვსევოლოდის-ძე **კელდიში**. ვიცე-პრეზიდენტებად არჩეული არიან აკადემიკოსები: **მ. დ. მილონშჩიკოვი, ბ. პ. კონსტანტინოვი, ნ. ნ. სემენოვი, ა. მ. რუმიანცევი, ა. პ. ვინოგრადოვი, მ. ა. ლავრენტიევი.**

ამხ. ი. ვ. ანდროპოვი დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამა წლის 18 მაისის ბრძანებულებით დაადგინა დაინიშნოს ამხ. იური ვლადიმერის-ძე **ანდროპოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ბ. ე. სემიჩასტნი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

• • •

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 17 მაისის ბრძანებულებებით დაადგინა განთავისუფლდეს ამხ. მ. გ. ჩიქოვანი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და დაინიშნოს ამხ. პ. გ. გოლაშვილი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. (საკდესი).

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ

ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛ ᲤᲣᲚᲘᲙᲝᲕᲘ,
რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲜᲘᲰᲐᲠᲣᲚᲘᲗᲐ და დიდი მღელვარებით მოველოდი შეხვედრას თბილისთან, ჩემს ქოლეგებთან — ქართველ კომპოზიტორებთან მათს მშობლიურ მიწაზე. უნდა გამოვეყოდე, რომ თბილისში პირველადა ვარ და ამიტომ გისაგებია ჩემი მღელვარება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც ჩვენს შესახვედრად მოვიდა.

მოსკოვის კომპოზიტორთა ჯგუფში ჩემს გარდა არიან ლენინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ სახალხო არტისტი გ. სვირიდოვი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. მოლჩანოვი, ა. ფლიარკოვსკი. თბილისელ მაყურებელს საშუალება ექნება მოისმინოს ჩვენი ნაწარმოებები: გ. სვირიდოვისა სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, კ. მოლჩანოვის რომანსები და ა. ფლიარკოვსკისა და ჩემი სიმღერები. ერთი სიტყვით, წარმოდგენილი იქნება მუსიკის სხვადასხვა ჟანრში ჭიმუშავე კომპოზიტორთა შემოქმედება, გავამართავთ საავტორო კონცერტებს.

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოს დედაქალაქში მნიშვნელოვანი მოვლენაა, ხალხებს ყოველთვის უფრო ახლოებს ერთმანეთთან ხელოვნების, მით უმეტეს მუსიკის ყველასათვის გასაგები ენა. მოუთმენლად ველით მაყურებელთან შეხვედრას, რადგან ვიცით, რომ მუსიკა ქართველებს ყოველთვის უყვარდათ და უყვართ, რომ ქართველები მუსიკალური ხალხია, ეს კი სტუმრებს გვავალებს ვიყოთ გულწრფელნი...

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠ-ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲫᲐᲠᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ᲓᲘᲓᲘ დრო არ არის გასული მას შემდეგ, რაც მცირე თეატრის დასთან ერთად თბილისში ვიყავი. წარუშლელი შთაბეჭდილებებია ალსავსე დავბრუნდი მაშინ მოსკოვში. როცა ამ დღეებში შევიტყე, რომ ხელმეორედ უნდა ვწვეოდი თბილისს, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები თბილისში მხოლოდ ფესტივალი ან დეკადა კი არ არის, არამედ ორი ერის — რუსი და ქართველი ერების ურღვევი მეგობრობის ამსახველი ფაქტია.

თუ გადავავლებთ ქართველთა და რუსთა ურთიერთობას საუკუნეთა მანძილზე, არაერთ მაგალითს შეეხვედებით, რომელიც ძმურ და მეგობრულ ურთიერთობასა და დამოკიდებულებას ასახავს. არ შემიძლია ერთი მაინც არ გავიხსენო. ეს არის რუსული ლიტერატურის უსაყვარლესი რაინდი **ალექსანდრე გრიბოედოვი,** რომელმაც მთელი თავისი პირადი ცხოვრება თქვენს ულამაზეს ქვეყანას — საქართველოს მიუძღვნა და დაუკავშირა. მისი უწმინდესი სიყვარული ხომ თქვენი ერის მშვენიერმა ისულმა ნინო ჭავჭავაძემ დაისაკუთრა, ხოლო ძოვნად თავისი გული შესთავაზა.

ამ დიდი მეგობრობის კონკრეტული გამოხატულების ფესვები კი უფრო შორს, საუკუნეთა სიღრმეში მიდის. ხალხთა შორის მეგობრობას ხომ ასე ლამაზად უმღერეს **შოთა რუსთაველმა** და **ალექსანდრე პუშკინმა.** ამ მეგობრობაზე შეიძლება კვლავ მრავლად წერა.

მე აქ, თქვენს მადლიან მიწაზე, ცოტა ხანს დავრჩები. მაგრამ განა შემეძლო თუნდაც რამდენიმე დღით თქვენთან ჩამოსვლაზე უარი მეთქვა. მოგესალმებით, ჩემო ძვირფასო კოლეგებო. თქვენი ხელოვნების თაყვანისმცემელი ვარ და მარად დავრჩები, შინდა გადავცე მთელ თქვენს ლამაზ და გულღია ხალხს საუკეთესო სურვილები, გულით ვუსურვო წინსვლა და სიხარული.

ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ

ᲠᲣᲑᲔᲜ ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

ᲩᲔᲛᲘᲗᲕᲘᲡ განსაკუთრებით სასიამოვნოა თბილისში სტუმრობა, რადგან მასთან ბავშვობის ბევრი მოგონება მაკავშირებს. ვახტანგოვის თეატრი თბილისელებს მხოლოდ ერთ წარმოდგენას უჩვენებს, ეს არის **ლეონიდ ზორინის** ორმოქმედებიანი ლირიკული დრამა „ᲗᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ“. სპექტაკლში მონაწილეობენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო არტისტები ი. ბორისოვა და მ. ულიანოვი.

ჩემი აზრით, ეს დრამა, რომელშიც ბევრი რამ არის ისეთი, რაც ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს, გვაღელვებს, თბილისელებსაც არ დატოვებს გულგრილს.

საქართველოს თეატრალურ ტრადიციებზე და უფრო მეტად წარსულზე ხშირად ლაპარაკობენ და ამიტომ მე აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, **რომ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** და **ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ** ქალაქში სტუმრობა მთელ ჩვენს თეატრს, მის შემოქმედებითს დასს დიდად გვაბარებს. რა თქმა უნდა, მრავალი თბილი და საინტერესო შეხვედრა გველის ქართულ მიწაზე...

ვახტანგოვის თეატრის მთელი შემოქმედებითი დასისა და პირადად ჩემი სახელით მინდა მივესალმო ჩემს საყვარელ კოლეგებს, ყველა თბილისელს თქვენს ქალაქში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲜᲓᲠᲐᲓ

ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲨᲣᲡᲢᲐᲙᲝᲕᲘᲩᲘ,
საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი

ᲛᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ვარ თქვენს მშვენიერ დედაქალაქში.

სამწუხაროა, რომ ჩვენთან ერთად თბილისში ვერ ჩამოვიდა ორკესტრის მთავარი დირიჟორი ე. სვეტლანოვი. თავისი საქმის ეს დიდი ხელოვანი ავადმყოფი დატოვეთ მოსკოვში. წამოსვლისას მან საუკეთესო სურვილები დაგვბარა თბილისელებთან, მეგობრებთან, რომლებიც მას აქ მრავლად ჰყავს.

ჩემი დირიჟორობით ორკესტრმა უკვე შეასრულა რამდენიმე რთული სიმფონიური ნაწარმოები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ვეცდები არც თბილისში შევირცხვინო თავი. ყოველ შემთხვევაში ამას მავალებს ჩემი მასწავლებლის ე. სვეტლანოვის და მამაჩემის — დმიტრი შოსტაკოვიჩის სახელი.

ᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲦᲔᲡᲐᲪ მოსკოვში ქართველებს ეკლესიების შენებლებს — ტაძრის შემქმნელებს უწოდებდნენ. იმ შორეულ დროს ეს უმაღლესი ქება იყო—იგი ემყარებოდა არა ქართველების მიერ აშენებული ეკლესიების რაოდენობას (დიდი მოსკოვისათვის ისინი, ბოლოს და ბოლოს, არც თუ ისე ბევრი იყო), მაგრამ ეკლესიების მშენებელ ქართველებში გამოსჭვიოდა სიმტკიცე, ვაჟკაცობა და სიმამაცე ხალხისა, რომელიც არასოდეს არ კარგავდა სიცოცხლის, ნათელი და მშვენიერი მომავლის რწმენას.

და ერთბამად რიდი გამხდარან ქართველები თავისიანები მოსკოვისათვის, აგრეთვე მთელი რუსეთისათვის, ისევე როგორც მოსკოვს ერთბამად როდი დაუწყია ქართული სტამბების დაარსება და ბეჭდვა წიგნებისა ქართველი ხალხის მოქალაქეობრივი და სულიერი სარგებლობისათვის, როგორც აღნიშნავდა არჩილი. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს მოწინავე ადამიანები აზორიცელებდნენ უდიდეს ღონისძიებებს, რათა დაეახლოებინათ საქართველო მოსკოვთან, რუსეთთან, რუს ხალხთან. ამ გზაზე იქმნებოდა აუარაცელი და თითქოს გადაულახავი დაბრკოლებანი, და არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო, არამედ პირდაპირ ფიზიკური: მოსკოვიდან საქართველოს საზღვრამდე უდიდესი მანძილის გავლის შემდეგ რუსეთის მეფეთა წარმოგზავნილებს წინ ბუმბერაზი კავკასიონი დასდგებოდათ ხოლმე. არც ეს დაბრკოლება იყო უკანასკნელი. ამას მოჰყვებოდა სრულიად მოულოდნელი რამ: მთების უგზოობის პირობებში ნახევარი ცხენებისა და ბარგის დაკარგვის შემდეგ ელჩები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ხელმწიფის უსტარი ჰაინც ჩამოიტანეს. მაგრამ მეფის უსტარი ელჩების ამ პირველი ჩამოსვლისას წაუკითხავი დარჩა: მთელ კახეთში არ აღმოჩნდა კაცი, რომ იგი რუსულიდან ქართულად ეთარგმნა...

ჩვენ კარ ვიცით, არ შეგვიძლია ზუსტად დავასახელოთ პირველი მთარგმნელები რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. მაგრამ ასეთი მთარგმნელები უეჭველია გამოჩნდნენ უკვე XVI საუკუნის დამლევს, და ტატიშჩევის მეთაურობით ჩამოსულ ელჩებს არავითარი სიძნელეები არ განუცდიათ. ამ დროისათვის რუსული და ქართული ენები დაადგნენ ურთიერთ ჩაწვდომის გზას: ელჩების დოკუმენტებში, მათს ანგარიშებში სულ უფრო ღრმად და მკაფიოდ ჩანს არა მარტო საელჩოთა აქციების წმინდა პოლიტიკური, საქმიანი ნაწილი, არამედ მათი მეორე მხარეც, ის, რომელიც თანამედროვე ენაზე გაზეთებში აღინიშნება როგორც „მეგობრული და ჯელიათადი“. რუსეთის ელჩთა ანგარიშებში უკვე ვგრძნობთ ქართველ მეფეთა, სასულიერო პირთა და სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლების კარგ, ზოგჯერ პირდაპირ ოსტატურად შესრულებულ თარგმანს. ამ თარგმანებში დაცულია ქართული მეტყველების კოლორატი, ზოგჯერ ზედმეწევნით შემჩნეული კოლორატი. საგაზეთო სტატია შესაძლებლობას არ გვაძლევს მივმართოთ დამოწმებებსა და მაგალითებს, მაგრამ სრული საფუძვლით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ურთიერთ ლიტერატურული გაგლენა და გამდიდრება დაიწყო XVI საუკუნის დამლევს, გრძელდებოდა XVII საუკუნის განმავლობით და XVIII საუკუნის დამდეგისათვის უკვე გარკვეულ სრულყოფას მიაღწია.

რაც ხდება ხალხთა ცხოვრებაში, იგივე ხდება იმ ენათა ცხოვრებაშიც, რომლებშიც ეს ხალხები ლაპარაკობენ, წერენ, ქმნიან ხსტგრულ ნაწარმოებებს, დებენ ურთიერთშორის ხელშეკრულებებს. წარმოებს ენების დაახლოება, ურთიერთ შეღწევა, ხდება დიფუნდირების პროცესი — ხალხებს უკვე ესმით ერთმანეთისა, ერთი ენის სითბო მეორეში გადადის და... ჩნდება თარგმანი — თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე. და რაოდენ მართალი იყვნენ რუსეთის ელჩები, რომლებიც თითქმის ოთხასი წლის წინათ (მაშინ ხომ არავითარი „თეორია თარგმნისა“ არ არსებობდა!) კატეგორიულად უარყოფდნენ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას მესამე ენის საშუალებით: „მე რუსულიდან თურქულად გითარგმნი, შენ კი თურქულიდან ქართულად თარგმნე“. ჩვენმა წინაპრებმა უდიდესი ძალღონე მოახმარეს იმას, რომ ეს მესამე საჭირო არ ყოფილიყო დაახლოების გზაზე, მაგრამ ამისათვის მაინც საჭირო გახდა ასეული წლები და მრავალ თაობათა ნაჭი.

და პოეტების, მხატვრებისა და მსახიობების ოსტატობით. დღეს მოსკოველთა, დედაქალაქის წამყვანი შემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენელთა დიდი რაზმი გაგაცნობთ თავიანთ ნაწარმოებებს, გაჩვენებთ თავიანთ ოსტატობას. დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ხშირად მიემგზავრებიან საგასტროლოდ, მაგრამ ასეთი რაოდენობითა და ასეთი შემადგენლობით ისინი პირველად მგზავრობენ.

მოსკოვი სათუთად ითვისებს ყოველივე საუკეთესოს, რასაც ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურა და ხელოვნება ქმნის. დედაქალაქის თეატრების სცენებზე, კონოეკრანებზე, საკონცერტო ორგანიზაციათა რეპერტუარში, მოსკოვის წიგნის მაღაზიათა დახლებზე ფართოდ არის წარმოდგენილი საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის ნამდვილ ქართველ ხალხს აქვს შექმნილი.

დარწმუნებული ვართ, რომ მოსკოველ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები თბილისში ონქება ახალი გამოვლინება მხურვალე ძმური გრძნობებისა, რომლებითაც მოსკოველები არიან გამსჭვალული ნამდვილი ქართველი ხალხისადმი, ხელს შეუწყობს რუსული და ქართული კულტურის ურთიერთგამდიდრებას, დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ძმობის კიდევ უფრო განმტკიცებასა და განვითარებას.

დარბაზში კვლავ ქუხს ტაში საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად, სახელოვანი კომუნისტური პარტიის პატივსაცემად.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲖᲔ გულითადი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პროფესორმა მ. ᲚᲘᲠᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲫᲛ, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის მდივანმა ა. ᲙᲐᲠᲐᲑᲘᲜᲝᲕᲛ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, თბილისის ვ. ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ᲞᲐᲙᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, მწერალმა ბ. ᲑᲔᲠᲘᲫᲘᲛ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘᲗ, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ᲨᲐᲒᲘᲜᲘᲐᲜᲛ. პოეტებმა მ. ᲛᲐᲭᲘᲪᲘᲜᲘᲗᲛ და მ. ᲚᲣᲙᲘᲜᲘᲜᲛ წაიკითხეს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. თბილისელები შეხვდნენ საბჭოთა ხელოვნების სახელგანთქმულ ოსტატებს. კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც დირიჟორობდა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი კ. ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲨᲘᲜი, სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდი სსრ კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ ა. ᲡᲐᲨᲨᲘᲜᲝᲕᲘᲡ ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლი რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. რᲔᲥᲜᲐᲢᲝᲕᲘᲩᲘᲡ ხელმძღვანელობით, მოსკოვის თეატრებისა და ფილარმონიის წამყვანი სოლისტები.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. თბილისელები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს შესანიშნავ შემოქმედითს კოლექტივებსა და სოლისტებს, რომლებმაც ამ საღამოს ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ბრწყინვალე ნიჭი. (საქმელი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობები — ბალეტის სოლისტი მ. ᲚᲝᲒᲠᲘᲜᲡᲙᲘ, კონცერტმეისტერი Ე. ᲚᲘᲞᲐ და რსფსრ სახალხო არტისტი, ბალეტის სოლისტი ნ. ᲢᲘᲛᲝᲤᲔᲔᲕᲐ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ესტრადისა და თოჯინების თეატრების მსახიობები თბილისში. მარცხნიდან — რ. ბაბკოვი, ა. გრიშინი, ნ. სტეპანოვა და ი. დივოვი.

ფოტო გ. გოგობიასი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ესტრადის მსახიობთა ერთი ჯგუფი თბილისის აეროდრომზე — (მარცხნიდან) მ. ლუკაჩი, მ. მიროშნიკოვა, ტ. ლიაზგინა, ო. ვორონეცი, მ. ბუტაკოვა, რსფსრ სახალხო არტისტი ე. ალტუხოვა, ა. სტეპუტენკო და ბ. ბრუნოვი. ფოტო გ. გოგობიასი.

საერთაშორისო ცხოვრება

გავაძლიეროთ მშვიდობისა და სოლიდარობის მოქმედება

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით მოსკოვში იმყოფება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რომეშ ჩანდრა. იგი შეხვდა და ესაუბრა კომიტეტის ხელმძღვანელებსა და სხვ კავშირის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს მშვიდობის დასაცავად ხალხთა მასობრივი მოძრაობის გაფართოებისა და განმტკიცების საკითხებზე.

18 მაისს რ. ჩანდრამ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში მოაწყო პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

თავის განცხადებაში რ. ჩანდრამ აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დღეს განსაკუთრებით საჭიროა გადამწყვეტი ორგანიზებული, მასობრივი მოქმედება მშვიდობისათვის, მსოფლიო კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ. ვიეტნამში ამერიკის აგრესიის განუწყვეტელი ესკალაციის პასუხად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობისა და მშვიდობის მოქმედება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მტკიცედ სწამს, რომ მშვიდობისათვის მებრძოლ ძალებს შეუძლიათ ბოლო მოუღონ ამერიკის აგრესიას. ვიეტნამელი ხალხი კვლავ აფართოებს გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, სამშობლოს დაცვისათვის, იმ უფლებისათვის, რომ თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს. საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი დიდი მრავალფეროვანი მატერიალური დახმარებით ხელს უწყობენ ვიეტნამელი ხალხის ამ ბრძოლას.

რომეშ ჩანდრამ განაცხადა, რომ 6-9 ივლისს სტოკჰოლმში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია ვიეტნამის საკითხზე. ეს კონფერენცია ეწყობა მშვიდობისათვის მებრძოლ მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციათა ინიციატივით. მან საერთო პლატფორმის საფუძველზე უნდა გაიერთიანოს ყველა დიდი საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაცია და ჯგუფი, რომლებიც ვიეტნამის ომის შეწყვეტისა და ვიეტნამელი ხალხის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის იბრძვიან.

ამყამად მშვიდობის მსოფლიო საბჭო, ხაზი გაუსვა რ. ჩანდრამ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგრეთვე ამას, რომ გაძლიერდეს მსოფლიო კამპანია ტერორის წინააღმდეგ, რომელსაც ფაშისტური ძალებმა მიმართეს საბერძნეთში, და დემოკრატიის აღდგენისათვის. ჩვენ განსაკუთრებით გვაწუხებს საბერძნეთიდან მიღებული ცნობები, რომ ცდილობენ ფიზიკურად გაუსწორდნენ ხალელგანჭმული ბერძენ პატრიოტს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს მანოლის გლეზოსს, რომელიც ულიონ-კიურის ოქროს მედლით დაჯილდოდა.

საბერძნეთის ახალი სამხედრო ფაშისტური მთავრობის მოქმედებას შეიღლება მოპყვეს დაძაბულობის შექმნა კვიპროსში, ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვის რაიონებში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოიწოდა ყველა ქვეყანას მოაწყონ საბერძნეთის მშვიდობის ძალებთან სოლიდარობის მოქმედება, რათა აღადგინონ დემოკრატია და უშიშროება ამ რაიონში და გაათავისუფლონ საყრობილეში დამწყვდეული ყველა პატრიოტი.

დასასრულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა თქვა: ყველგან საბჭოთა კავშირში ჩვენ ვხედავთ დიდ ერთგულებას მშვიდობის საქმისადმი, ვხედავთ, რომ ყველა მხარს უჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საქმიანობას. ჩვენ მტკიცედ მადლობელი ვართ ამისათვის, რომ არ წყდება მოქმედება მშვიდობის დასაცავად, რაც ახასიათებს მთელ საბჭოთა ხალხს.

შემდეგ რომეშ ჩანდრამ უპასუხა კორესპონდენტთა მრავალ შეკითხვაზე. (საკ.).

ესკალაციის მრეკლდება

ლონდონი, 19 მაისი. (საკ.). ამერიკის მხედრიონმა ახალი ნაბიჯი გადადგა ვიეტნამში ომის ესკალაციის გზაზე.

გუშინ შეერთებული შტატების ჯარები შევიდნენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ ვიეტნამს შორის მდებარე დემილიტარიზებული ზონის სამხრეთ ნაწილში. ამას იუწყება სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ დონგხიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას.

ოქმი ქვეყნის ხელშეკრულება

ბუდაპეშტი, 18 მაისი. (საკ.). უნგრეთის პარლამენტის შენობაში დღეს ხელი მოაწერეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებაში გამოთქმულია მისწრაფება განამტკიცონ უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა, ხაზგასმულია, რომ ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეფექტიანად იმოქმედონ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის ძალების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას, აღნიშნულია, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრის ძირითადი პირობაა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და ნეონაციზმის ლიკვიდაცია.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ განავითარონ და გააძლიერონ თავგადასმის შემთხვევაში მეორე მხარე გაუწვეს მას ყოველგვარ დახმარებას, კერძოდ სამხედრო დახმარებას.

დასავლეთი ბერლინი ორივე მხარეს მიაჩნია განსაკუთრებულ პოლიტიკურ ერთეულად. ისინი გამოთქვამენ მისწრაფებას განაგრძონ მეეადინეობა გერმანიის საკითხის იმგვარად გადაჭრისათვის, რომ ამას საფუძვლად დაედოს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის აღიარება და უზრუნველყოფდეს ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას.

ხელშეკრულება დაიდო 20 წლის ვადით. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით მას ხელი მოაწერეს იანოშ კადარმა, პალ ლოშონციმ და იენე ფოკმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით — ვალტერ ულბრიხტმა და ვილი შტოფმა.

ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 19 მაისი. (საკ.). გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების საიგონელი ელჩის ბანკერის რეკომენდაციით გადაწყვეტილ სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარების სარდალს გენერალ უესტმორლენდს დაუქვემდებარო სამხრეთ ვიეტნამის სოფლების „დაშომინების“ ოპერაციებიო. როგორც ჯონსონმა აღნიშნა, მან გაიზიარა ბანკერის აზრი, რომ გენერალი უესტმორლენდი სამოქალაქო ხელმძღვანელებზე უკეთ გაართმევს თავს ამ ამოცანებს და „დაშომინება“ უფრო წარმატებით განხორციელდება სამხედროთა ზედამხედველობით.

შემდეგ ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიზნები ვიეტნამში უცვლელია და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი“ განაგრძოს ომი. მან ხაზგასმით აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატები ცალმხრივი წესით არ გაიყვანენ თავიანთ ჯარებს სამხრეთ ვიეტნამიდან.

ამერიკელ აგრესორთა გარბაროსობა

ჰანოი, 18 მაისი. (საკ.). ვიეტნამში ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო დანაშაულის გამომძიებელმა კომიტეტმა 15 მაისს ქალაქ ვინ ლინში მოიწვია პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს წარუდგინეს ახალი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები იყენებენ მომწამლელ ნივთიერებებს დემილიტარიზებული ზონის რაიონში. მაგალითად, 8 მაისს მდინარე ვენჰაის რაიონში მოაფრქვიეს ტოქსიკური ნივთიერებანი, რის შედეგად დაზავდა ასობით მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის ქალები, მოხუცები და ბავშვები. სოფელ ვინ სანში დიდ ფართობებზე განადგურდა ბრინჯისა და ბოსტნეულის ნათესები, აგრეთვე დაიბოცა პირუტყვი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ინგლისის ნოტა ესპანეთის მთავრობას

ლონდონი. (საკ.ეს). ინგლისის მთავრობამ შესთავაზა ესპანეთის მთავრობას დაიწყონ 25 მაისს მოლაპარაკება გიბრალტარის აეროდრომის გამოყენების შესახებ. ამ წინადადებას შეიცავს ნოტა, რომელიც დღეს ინგლისის მდრიდელმა ელჩმა გადასცა ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს.

ნოტაში აღნიშნულია, რომ თუ ესპანეთმა უარი თქვა მოლაპარაკების დაწყებაზე, ინგლისი შეიტანს საჩივარს სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციაში. ინგლისის წინადადება მოლაპარაკების შესახებ გამოწვეულია იმით, რომ კვლავ გაჩნდა ინგლის-ესპანეთის დავა გიბრალტარის საკითხზე, რადგან ესპანეთმა აუკრძალა ინგლისს გამოიყენოს ინგლისის კოლონია გიბრალტარის-კენ მიმავალი საჰაერო კორიდორი.

ლონდონი, 19 მაისი. (საკ.ეს). დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გუშინ საღამოს ესპანეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც განაცხადა, რომ გიბრალტარის „დეკოლონიზაციის“ საკითხზე ორი ქვეყნის მოლაპარაკების განახლება დამოკიდებულია ესპანეთის მთავრობაზე. ამისთვის, ნოთქვამია ნოტაში, ესპანეთმა უნდა გაათქმოს გიბრალტარის აეროდრომის მახლობელ ზონაში თვითმფრინავების ფრენის აკრძალვა.

ინგლისელ ბიბლიოთეკართა ეროვნული ასოციაციის ინფორმაცია

ინგლისელ ბიბლიოთეკართა ეროვნული ასოციაციის ინფორმაციის ბიურო ინფორმაციას ავრცელებს ინგლისელ ბიბლიოთეკართა ეროვნული ასოციაციის ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციის ბიულეტენიდან.

ინგლისელ ბიბლიოთეკართა ეროვნული ასოციაციის ინფორმაციის ბიუროს ინფორმაციის ბიულეტენიდან.

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

**ეროვნული ფრონტი

ჩვენს არე-მარეში



გვეტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

დღეს თბილისის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეულის დღევანდელი დღის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის და სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდის (ხელმძღვანელი მხატვრული ხელმძღვანელია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ალ. სვეშნიკოვი) კონცერტი, რომლის პროგრამაშია სვირიდოვის, პროკოფიევის და სკრიაბინის ნაწარმოებები. დირიჟორი — რსფსრ სახალხო არტისტი კ. კონდრაშინი, სოლისტები — ალ. ედერნიკოვი, ნ. ისაკოვა, ლ. ისაკაძე.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეგიძლიათ მოუსმინოთ სსრ კავშირის დიდი თეატრის მეგოლინეთა ანსამბლს (მხატვრული ხელმძღვანელი ი. რეენტოვიჩი).

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი დათმობილი აქვთ სიმღერის ჟანრში მომუშავე კომპოზიტორებს ს. ტულიკოვს, კ. მოლჩანოვს და ა. ფლაარკოვსკის.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კონცერტს მართავს მოსკონცერტის ესტრადის ოსტატთა ჯგუფი.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲖᲔᲘᲛᲘ

19 მაისი. მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერებმა ორმოცდამეხუთედ აღნიშნეს თავიანთი დიდი დღესასწაული — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე. ამ დღეს დამთავრდა პიონერული რაზმეულების საკავშირო დათვალიერება „იკაშკაშეთ, ლენინურო ვარსკვლავებო“, რომელიც სამ წელს მიმდინარეობდა.

ბავშვების სახახელო საქმეებმა გვიამბეს, რომ შრომის ლენინურმა ვახტმა წარუშლელი კვალი დატოვა მათს ცხოვრებაში, ბევრგან ქალაქებსა და სოფლებში შრიალებენ მათი გაშენებული ბაღები და ხეივნები. ახლა რამდენი უსახელო გმირი მოძებნეს და დაუბრუნეს ხალხს! მეგობრობენ რევოლუციის ვეტერანებთან, შრომის მოწინავეებთან, სამშობლოს მამაც დამცველებთან...

გუშინ დიდი ზეიმი ჰქონდათ როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერებს, ისე საქართველოს პიონერებს. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გულში — ლენინის მოედანზე მოაწყეს IX რესპუბლიკური შეკრება. საიდან არ ჩამოვიდნენ პიონერები ამ შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად, ტრადიციული პიონერული საზეიმო ხაზის მოსაწყობად.

ბავშვებს ზეიმზე ესტუმრნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. თ. ლაშტარაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. სალუქვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზ. კვპაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ძვანია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე ნ. ბურბენიძე და სხვები.

დილის 11 საათია. დაიწყო შეკრება. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია ბავშვებს ულოცავს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების 45 წლისთავს, პიონერული რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვალიერების წარმატებით დამთავრებას. წაიკითხეს IX რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა საქართველოს ყველა პიონერისადმი.

გაისმის ფანფარების ხმა, ლენინის მოედანს უახლოვდებიან პიონერთა აღლუმის მონაწილენი. კოლონებს წინ მოუძღვიან წითელყელსახვევიანი ვეტერანი პიონერები, ჩვენი რესპუბლიკის პირველი პიონერული ორგანიზაციის წევრები, ახლა უკვე ომაშვერცხლილი, ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანები. მათ რიგებში არიან შრომის მოწინავენი, დიდი სამამულო ომის მონაწილენი. პიონერები ტაშითა და ვარდიანებით ავსებენ ტრიბუნებს, ბავშვებს ულოცავენ ამ დიდებულ დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: პიონერები ლენინის სახელობის მოედანზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სპარტაკიადის ჩემპიონები

გუშინ თბილისში დამთავრდა საქართველოს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კრივში. პირველ წონით კატეგორიაში (48 კილოგრამი) გაიმარჯვა ქუთაისელმა **ვ. სულაკაძემ.** უმწიტეს წონაში უძლიერესი ნიმა **რ. რატიანი.** თბილისელ **ნ. ქიქავას** (მხატვ წონა) მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო ჩემპიონობა მიენიჭა. ქვემსუბუქ წონაში გამარჯვება **გ. ვარდანიანს** (თბილისი) ხვდა. მომდევნო წონებში ჩემპიონები გახდნენ: ბათუმელი **ვ. ოხიკიანი** (მსუბუქი წონა), თბილისელი **ვ. ცერცვაძე** (პირველი ქვესაშუალო წონა), **მ. სვანიძე** (ქუთაისი, მეორე ქვესაშუალო წონა), **ნ. გარაბაჯი** (თბილისი, პირველი საშუალო წონა), **მ. მამამთავრიშვილი** (თბილისი, მეორე საშუალო წონა); ქვემძიმე და მძიმე წონებში გაიმარჯვეს თბილისელებმა **რ. აკოფოვმა** და **ვ. კლიუჩნიკოვმა.**

გუნდური პირველი ადგილი თბილისელებს ხვდათ.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ცხრამეტიანი კოლექტივი ჩაება სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლაში, გაიმართა შეთქმასმეტედფინალური შეხვედრები. თბილისის დინამოელები კუიბიშევს ეწვივნენ და აქ მატჩი „კრილია სოვეტოვთან“ ჰქონდათ.

საგოლო მომენტები საკმაოდ იყო, მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

თასის გათამაშების დებულებით მსაჯმა მ. პინსაკიმ (ხარკოვი) დამატებითი დრო დანიშნა. აქ უკვე იერძნობოდა თბილისელთა გარკვეული უპირატესობა. თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მეტრეველმა ჩინებულად გამოიყენა ერთ-ერთი ხელსაყრელი მომენტი და ანგარიში გახსნა. კუიბიშეველები, რომლებიც მეტწილად დაცვით იყვნენ გართულნი, მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადნენ კონტრთამაშის შექმნას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 1:0 და მერვედფინალში გავიდნენ.

„დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ჟელიძე, ცაცანავა, ფალავანდიშვილი, ბ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ნოდია, ბაისურაძე.

• • •

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲚᲔᲑᲘ თამაშობდნენ მოსკოვში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ სათადარიგო შემადგენლობით და დამარცხდნენ 0:4.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ზვეზდა“ (პერმი) — „არარატი“ (ერევანი) 3:1. „ლოკომოტივი“ (ვინიცა) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 0:2, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 0:2, „დინამო“ (კიროვაბადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1 (ამ გუნდებმა განმეორებითი მატჩი შედგება დღეს), „ტრუბინი“ (ყაზანი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 3:0, „ტემპი“ (ბარნაული) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:1, „კუზბასი“ (კემეროვი) — სკა (დონის როსტოვი) 2:1, „თერგი“ (გროზნო) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:1, „ზარია“ (ლუგანსკი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1, „სოკოლი“ (სარატოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:1, „ვოლგა“ (კალინინი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ცსკა 0:3, „დნეპრი“ (კრემენჩუგი) — „დინამო“ (კიევი) 0:2.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ოლიმპიადის ფარგლებში ჩვენ ბევრ ადამიანს ვეცნობოდით. ერთ-ერთ ასეთ ადამიანად ჩვენ ბ. ბ. ბ.